საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 20 იანვარი, 2023 წელი

დრო: 13:00 - 15:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
3. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
4. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
5. დათო ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების ცენტრი
6. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
7. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
8. ნინო ხუხუა - ადგილობირივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
9. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი

განსახილველი საკითხები:

1. გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციების შესახებ გადაწყვეტილება
2. სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ორგანიზება და ჯგუფების გეგმა
3. მაღალი დონის კონფერენციის საკითხი
4. სხვა საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს 2023 წლის პირველი შეხვედრა გახსნა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ.
შეხვედრაზე, იმსჯელეს ახალი წევრი ორგანიზაციის მიღების საკითხზე. ეროვნული პლატფორმის სამდივნოს, 2022 წლის ბოლოს, გაწევრიანების სურვილით მიმართა 2-მა ორგანიზაციამ. მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, სრულად გაეგზავნა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს. შეხვედრაზე, სამდივნომ მოკლედ მიმოიხილა ორივე ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და მმართველი კომიტეტის გადაწყვეტილებით, ორივე ორგანიზაციის განაცხადი დადებითად შეფასდა. კოალიციის ახალი წევრები არიან:

1. დედები აზარტული თამაშების წინააღმდეგ - V ჯგუფი
2. სამოქალაქო იდეა - სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული ევროატლანტიკური არჩევანისთვის - I, IV, V ჯგუფები

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორებს სთხოვა, რომ მომდევნო შეხვედრისთვის წარმოადგინონ ჯგუფების შეხვედრების ორგანიზების სავარაუდო თარიღები.
საბჭოს შეხვედრაზე იმსჯელეს საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში არსებულ მდგომარეობაზე, რომელიც უკავშირდება პირველი ჯგუფის კოორდინატორის, ნიკა სიმონიშვილისთვის, საიას თავმჯდომარის ვადის გასვლას და ახალი თავმჯდომარის არჩევას. 2022 წლის 22 დეკემბრიდან, ორგანიზაციის გამგეობამ ნონა ქურდოვანიძე აირჩია თავმჯდომარედ. ძველმა თავმჯდომარემ დატოვა ორგანიზაცია და მხოლოდ გამგეობის წევრად რჩება, შესაბამისად ის ვერ წარმოადგენს ორგანიზაციას კოალიციაში. მსჯელობის შედეგად განისაზღვრა, რომ პირადად უნდა მოვახდინოთ კომუნიკაცია ორგანიზაციასთან. იქიდან გამომდინარე, რომ საერთო კრება ჯერ არ იგეგმება და ჯერაც არ არის განსაზღვრული როდის ჩატარდება, ორგანიზაციასთან კონსულტაციების გავლის შემდეგ დასახელდება დროებითი წარმომადგენელი, რომელიც ნიკა სიმონიშვილს ჩაანაცვლებს საერთო კრებამდე.

ეროვნული პლატფორმის მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე განიხილეს მთავრობასთან ერთობლივი მაღალი დონის კონფერენციის ორგანიზების საკითხი. ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, საკოორდინაციო საბჭო მიიჩნევს, რომ მაღალი დონის კონფერენციის მთავარი თემა უნდა იყოს 12 პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულება და ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხი. ასევე თემატურ დისკუსიებში შეიძლება განხილული იყოს სექტორული მიმართულებები და ასოცირების ხელშეკრულება. ასევე, მნიშვნელოვანია რომ გავიმეოროთ ის პოზიტიური გამოცდილება, რომელიც გვქონდა წინა მაღალი დონის კონფერენციაზე, როდესაც ჩართულები იყვნენ მაღალი დონის მომხსენებლები ევროპარლამენტიდან. შეხვედრის მიმდინარეობისას გაიმართა მსჯელობა სავარაუდო თარიღთან დაკავშირებითაც. იმ ფაქტის

გათვალისწინებით, რომ 12 პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების პროცესში მთავარი აქტორი არის საქართველოს პარლამენტი, მაღალი დონის კონფერენციაზე უნდა იყოს უზრუნველყოფილი მომხსენებლების ჩართულობა საქართველოს პარლამენტიდან.

საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა იმსჯელეს დაანონსებულ კანონპროექტზე. მმართველი კომიტეტი, მომდევნო შეხვედრისთვის იმსჯელებს თუ როგორი სტრატეგიითა და ტაქტიკით განსაზღვრავს მუშაობას ამ მიმართულებით იმისათვის რომ სამოქალაქო საზოგადოება არ იყოს ჩართული პოლემიკაში არამედ, ხაზი გაესვას სამოქალაქო საზოგადოების სიძლიერის მნიშვნელობას. თუ რა როლი აქვს სამოქალაქო საზოგადოებას ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში და რამდენად მნიშვნელოვანია ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება. მმართველი კომიტეტის თავმჯდომარის ინიციატივით, აღნიშნული საკითხზე მსჯელობა გაიმართება ყველა სამუშაო ჯგუფში.

მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე და მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი შეიმუშვებენ წერილს ელჩებისთვის და დონორებისთვის, რომელშიც საუბარი იქნება სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერასა და დაფინანსების საკითხზე. წერილის პირველადი ვერსიის მომზადების შემდეგ, საკოორდინაციო საბჭო განიხილავს და დამტკიცების შემდეგ გაიგზავნება ადრესატებთან.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე